

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



# ბაკალავრის სწავლება

აბსტრაქტი №16

- \* რეგიონალური ფინანსები
- \* დაგეგმვის თეორია და მართვა
- \* დაგეგმვის პრაქტიკა
- \* ფინანსები, ადრინსვა და აუდიტი
- \* მართვაში საბაზისური და საბაზო კონსტრუქციები
- \* კონსვა-კონსვა



2018

# უინანსური და საჰაბიტუაციო კონსულტაციის ცენტრი



## გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას  
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის  
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და  
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის  
დამუშავებას





გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -  
**Publisher: Business Intellect Ltd.**

**UDC (uak) 336.2+336.14(051.2)**  
**g-145**

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ელ.ჟურნალი  
 „გადასახადები -  
 რეგისტრირებულია #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

**Referred and reviewed scientific & practical e.magazine 'Gadasakhadebi-**

მთავარი რედაქტორი:  
 დავით ჯალაღონია,  
 სრული პროფესორი  
**Chief Editor:**  
**David Jalaghonia, Full Professor**

პასუხისმგებელი მდივანი  
 მარინე ხუბუა, ასოცირებული პროფესორი  
**Executive Secretary:**  
**Marine Khubua, Associated Professor**

რედაქტორი: მადონა გელაშვილი  
 ასოცირებული პროფესორი

**Editor:**  
**Madona Gelashvili, Associated Professor**

ტექნიკური რედაქტორი:  
 ნაზიკო გომელაური  
**Technical Editor: Naziko Gomelauri**  
 კორექტორი: რუსიკო პაპასკირი  
 ასოცირებული პროფესორი  
**Corrector:**  
**Rusiko Papaskiri, Associated Professor**

მარკეტოლოგ-კონსულტანტი:  
 დევი შონია, ასოცირებული პროფესორი  
**Marketing Consultant:**  
**Devi Shonia, Associated professor**

იურისტ-კონსულტანტი:  
 ელგუჯა კავთარაძე, ასოცირებული პროფესორი  
**Legal Advisor:**  
**Elguja Kavtaradze, Associated Professor**

ელ. ჟურნალი „გადასახადები -  
 რეგისტრირებულია  
 ს.კ. 404941300  
**E. Magazine "GADASAKHADEBI"**  
**(Taxes) is registered**  
**ID code: 404941300**

სარედაქციო კოლეგია  
**EDITORIAL BOARD**

ტავმჯდომარე: პროფესორი დავით ჯალაღონია  
**Chairman: professor David Jalaghonia**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,  
 პროფესორები:

**Doctors of Economics, Professors:**

ზაურ ამილახვარი	Zaur Amilakhvari
რეზო გვესიანი	Rezo Gvelesiani
სიმონ გელაშვილი	Simon Gelashvili
ირმა დიხამინჯია	Irma Dikhaminjia
კახაბერ ერაძე	Kakhaber Eradze
შოთა ვეშაპიძე	Shota Veshapidze
ლარისა ტაკალანძე	Larisa Takalandze
ზურაბ ლიპარტია	Zurab Lipartia
იაკობ მესხია	Iakob Meskhia
ვლადიმერ რიონტი	Vladimer Ghloni
ზაირა რუდუსაური	Zaira Gudushauri
თემურ სენგელია	Temur Shengelia
მიხეილ ცივილაძე	Mikheil Chikviladze
ნოდარ ხადური	Nodar Khaduri
ელენე ხარაბაძე	Elene Kharabadze
რეზო ხარებავა	Rezo Kharebava
ნანული ჯიმეიშვილი	Nanuli Dzimceishvili
ანჯელიკა კრუტოვა - ხარკოვი, უკრაინა	Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
კერიმოვი ელ სევერ ნარიმან ოღლი - ბაყო, აზერბაიჯანი	Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

მომხმარებელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -  
 მიმხმარებლის IBAN ანგარიში # GE67TB332136020100005  
 მიმხმარებლის ბანკი: სს 'ტიბისი- ბანკი  
 ბანკის კოდი: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**  
 BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005  
 Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA  
 BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიის მოვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

**Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author**

გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი - / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

**ISSN 1987-9156**



## sarCevi / **Table of contents**

### oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi .....	5-10
instruqcia / <b>Instructions</b> .....	11-38
saqarTvel os erovnul i banki / <b>National Bank of Georgia</b> .....	39-48
situaciuri saxel mZRvanel oebi / <b>Situational manuals</b> .....	49-55
saqstati / <b>Geostat</b> .....	56



gadasaxadebi #16, 2018

**GADASAKHADEBI** #16, 2018



## საქართველოს მთავრობის

### დადგენილება №436

2018 წლის 24 აგვისტო, ქ. თბილისი

**„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

#### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-16 მუხლის:

1. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი მცენარეები, მცენარეული პროდუქტები და სხვა მასალები (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქონლისა), რომელთა ღირებულება არ აღემატება 500 ლარს, შემდეგ შემთხვევებში:

ბ.ა) 5 ცალამდე მცენარე, მათ შორის, ხე-მცენარეები და ბუჩქები;

ბ.ბ) 3 კგ-მდე ციტრუსების ნაყოფი;



ბ.გ) 5 კგ-მდე სხვა ახალი ხილი ან ბოსტნეული, ან ორივე ერთად;

ბ.დ) 20 ცალამდე მოჭრილი ყვავილი ან ტოტი, ან ორივე ერთად, ან ერთი თაიგული ან გვირგვინი მოჭრილი ყვავილებისგან, ან ტოტებისგან ან ყვავილებისა და ტოტებისგან ერთად;

ბ.ე) 5 ცალამდე ქოთნის მცენარე;

ბ.ვ) 2 კგ-მდე ყვავილის ბოლქვები ან ტუბერები ან ორივე ერთად;

ბ.ზ) 5 პაკეტი სათესლე მასალა, თითოეული 5 გრამის ოდენობით;

ბ.თ) 30 კილოგრამამდე გამხმარი და გამომშრალი მცენარეული წარმოშობის პროდუქტები“.

2. მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) მცენარის თესლი (სათესლე მასალა), რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარის მოყვანა ან/და კულტივირება.“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე





## საქართველოს მთავრობის

### დადგენილება №441

2018 წლის 29 აგვისტო, ქ. თბილისი

**„ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

#### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08/07/2016, 300160070.10.003.019366) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის პირველი მარტიდან.“.

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე





## საქართველოს მთავრობის

### დადგენილება №445

2018 წლის 29 აგვისტო, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

#### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/01/2011, 340170000.10.003.016167) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“:

#### 1. მე-5 მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე საწარმოდან იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქტში ორჯერ აღმოჩნდება სალმონელა (*Salmonella*) ან/და ლისტერია მონოციტოგენეზი, ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამ პროდუქტის მწარმოებელი საწარმოდან ერთი წლის განმავლობაში ჩერდება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) იმ სასაქონლო პოზიციის ყველა ქვესუბპოზიციით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტი, რომელშიც შედის ზემოაღნიშნული პროდუქტი. ეროვნული სააგენტო მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შემოსავლების სამსახურს ატყობინებს 24 საათის განმავლობაში. ამასთან, ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილებას იმპორტის აკრძალვის შესახებ ატყობინებს შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს. ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმპორტის ნებართვა გაიცემა ამ წესის შესაბამისად.“

#### 2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>2</sup> პუნქტი:





„5“. ამ მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება მწარმოებელი საწარმოდან იმპორტის შეჩერების შესახებ არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე:

ა) შემოსავლების სამსახურის ან ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და პროდუქტს გადმოკვეთილი აქვს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარი.“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

## საქართველოს მთავრობის

### დადგენილება №447

2018 წლის 31 აგვისტო, ქ. თბილისი

**„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

## მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის (დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ):



**1. მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. სამეანო და ნეონატალური მომსახურების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია, 2018 წლის 1 იანვრამდე თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ამ დანართით განსაზღვრულ პირობებთან და 2019 წლის 1 იანვრამდე მოიპოვოს ნებართვის დანართი – „სამეანო-ნეონატალური მომსახურება“, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის გათვალისწინებით.“.

**2. №2<sup>1</sup> დანართის (სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები) XVII თავს (ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისის (NICU) შემთხვევაში, სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს) 39-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-40 პუნქტი:**

”

40	<p>ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისის (NICU) ფარგლებში დასაქმებული შესაბამისი სპეციალისტების ექიმები 2 წელიწადში ერთხელ უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამაში კრიტიკულ ახალშობილთა მართვის თანამედროვე პრინციპების დაუფლების მიმართულებით</p>	<p>შესაბამისი სპეციალისტების ექიმები – სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული საექიმო სპეციალობები: „ნეონატოლოგია“, „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“, „ბავშვთა კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინა“, „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ და სუბსპეციალისტების მოწმობა „ბავშვთა ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“</p>
----	--	---

“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე



**გ ი მ ნ ა ს ინ ბ ე ლ ე ქ ბ ი**



## i n s t r u q c i a

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №310

2018 წლის 20 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და  
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 72<sup>1</sup> მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010  
წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111; 200090000.22.033.016112,  
03.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. XIII თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XIII<sup>1</sup> თავი:

„თავი XIII<sup>1</sup>. საგადასახადო დოკუმენტი

**მუხლი 56<sup>1</sup>. საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 72<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული და №III-071  
დანართით დამტკიცებული საგადასახადო დოკუმენტი ივსება ელექტრონულად  
ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას ან  
საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას, ტრანსპორტირების დაწყებამდე. საგადასახადო  
დოკუმენტი გამოიწერება აგრეთვე საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას,  
მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. დღგ-ის გადამხდელის მიერ  
საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება მიწოდების – პირველადი და კორექტირების  
ოპერაციებზე ცალ-ცალკე.

2. საგადასახადო დოკუმენტი ივსება შემდეგი წესით:



ა) პირველ სტრიქონში იწერება საგადასახადო დოკუმენტის სერია და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) მე-2 სტრიქონი ივსება მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტის კორექტირებისას;

გ) მე-3 სტრიქონში იწერება ოპერაციის შინაარსი, კერძოდ, მიეთითება:

გ.ა) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში ასახული ნავთობპროდუქტების მიწოდება ან/და ტრანსპორტირება;

გ.ბ) ამ ინსტრუქციის №III-07<sup>2</sup> დანართში ასახული ხე-ტყის და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტების მიწოდება ან/და ტრანსპორტირება;

გ.გ) სხვა საქონლის მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე/მიწოდება ტრანსპორტირებით ან/და მომსახურების გაწევა;

გ.დ) დღგ-ის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილი საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის დაბეგვრა (ავანსი);

გ.ე) კორექტირება, როდესაც ადგილი აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებიდან ერთ-ერთს:

გ.ე.ა) გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

გ.ე.ბ) შეცვლილია დასაბეგრი ოპერაციის სახე;

გ.ე.გ) ფასების შემცირების ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

გ.ე.დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

**შენიშვნა:** კორექტირების „გ.ე.ა“ ან „გ.ე.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოების არჩევისას არ ხორციელდება ნავთობპროდუქტების მიწოდების საგადასახადო დოკუმენტის კორექტირება.

დ) მე-4 სტრიქონი ივსება მე-3 სტრიქონის (ოპერაციის შინაარსის) შევსების შემდეგ და მიეთითება ოპერაციის ტიპი, კერძოდ:



დ.ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას ამ სტრიქონში მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.ა.ა) საბითუმო მიწოდება;

დ.ა.ბ) საცალო მიწოდება;

დ.ა.გ) შიდა გადაზიდვა – პირის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაზიდვა ან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, საქონლის განკარგვისას (რეალიზაცია, პრივატიზება), შემძენის მიერ შესაბამისი ორგანოდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ა.დ) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილიდან დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ა.ე) ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული (მოსაქცევი) საქონლის დასაწყობების ადგილიდან სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე ტრანსპორტირება;

დ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის არჩევისას მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.ბ.ა) მიწოდება ტრანსპორტირებით (საქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება);

დ.ბ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ იცვლება);

დ.ბ.გ) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდება საქონლის მიწოდება);

დ.ბ.დ) უკან დაბრუნება (მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის გამყიდველისათვის/გამგზავნისათვის დაბრუნება);

დ.გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის არჩევისას, მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი:

დ.გ.ა) მიწოდება ტრანსპორტირებით (საქონლის მიწოდება, რომელსაც თან ახლავს გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის ტრანსპორტირება);

დ.გ.ბ) მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე (საქონლის მიწოდება, როდესაც საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ იცვლება);

დ.გ.გ) დისტრიბუცია (საქონლის მიწოდება გამყიდველის/გამგზავნის თანამშრომლების (დისტრიბუტორების) მიერ. აგრეთვე, მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ფარგლებში ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირის მიერ);



დ.გ.დ) შიდა გადაზიდვა (საქონლის ტრანსპორტირება, როდესაც არ ხდება საქონლის მიწოდება);

დ.გ.დ.ა) შიდა გადაზიდვა –საქონლის გადაადგილება ერთი ადგილიდან/ობიექტიდან მეორეზე;

დ.გ.დ.ბ) შიდა გადაზიდვა საკურიერო – საკურიერო მომსახურებისას საქონლის გადაადგილება;

დ.გ.ე) უკან დაბრუნება (მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის გამყიდველისათვის/გამგზავნისათვის დაბრუნება);

დ.დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას მე-4 სტრიქონი არ ივსება;

დ.ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის არჩევისას „ოპერაციის ტიპი“ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს საქონლის უკან დაბრუნებას და გამოწერილია უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტი და მიეთითება „უკან დაბრუნება დოკუმენტით“;

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება ოპერაციის განხორციელების თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად) წელი). ამასთან, მომსახურების კალენდარული თვის მანძილზე უწყვეტად, რეგულარულად გაწევისას ან/და თვის განმავლობაში გაწეული მომსახურებების ჯამური მაჩვენებლის არსებობისას – მიეთითება თვის ბოლო რიცხვი;

ვ) მე-6 სტრიქონში მიეთითება საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/შექმნის თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი);

ზ) მე-7 სტრიქონში მიეთითება ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) მე-8 და მე-9 სტრიქონებში იწერება გამყიდველის და მყიდველის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი. ამასთან, თუ ადგილი აქვს საქონლის შიდა გადაზიდვას, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც გადამზიდავი ახდენს ფლობა/განკარგვის უფლებით გადაცემული საქონლის ტრანსპორტირებას, ამავე გრაფაში მიეთითება გამგზავნის და მიმღების დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი;

ი) მე-10 და მე-11 სტრიქონებში იწერება ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების ადგილი (მისამართი);

**შენიშვნა:** ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ნავთობპროდუქტის გადაცემა ხორციელდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით რამდენიმე საბოლოო მომხმარებელზე და შეუძლებელია ტრანსპორტირების ზუსტი მარშრუტის დადგენა, ამ შემთხვევაში გამოიწერება ერთი საგადასახადო დოკუმენტი, რომლის მე-11 სტრიქონი არ ივსება.



კ) მე-12 სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას და მიეთითება ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყების ადგილის (ნავთობის გადამუშავების, ნავთობბაზის, ავტოგასამართი სადგურის და საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული ნავთობის დისტილატების სხვა სტაციონარული ობიექტის) ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი;

ლ) მე-13 სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას და მიეთითება ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის (ნავთობის გადამუშავების, ნავთობბაზის, ავტოგასამართი სადგურის და საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული ნავთობის დისტილატების სხვა სტაციონარული ობიექტის) ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი. ამ ინსტრუქციის №III-08 დანართის მე-2 სტრიქონზე დასახელებული საქონლის (ნავთობის ბიტუმი) რეალიზაციისას (გადაზიდვისას) ან ნავთობპროდუქტის გადაადგილებისას ისეთ ადგილებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ორგანოში, როგორც ნავთობის დისტილატების სტაციონარული ობიექტი, აღნიშნული გრაფა არ ივსება;

მ) საგადასახადო დოკუმენტის ცხრილი ივსება შემდეგი წესით:

მ.ა) პირველ სვეტში მიეთითება საქონლის/მომსახურების დასახელება, ამასთან, საქონლის და მომსახურების ერთდროულად მიწოდებისას, ცხრილში მონაცემები მიეთითება ცალ-ცალკე. აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას;

მ.ბ) მე-2 სვეტში მიეთითება საქონლის კოდი (გადასახადის გადამხდელის მიერ ნებისმიერი კომბინაციით შექმნილი ან საბუღალტრო პროგრამაში არსებული ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით განსაზღვრული კოდი), გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევისა, რომლის დროსაც მიეთითება ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში ასახული ნავთობპროდუქტის სეს ესნ კოდი. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას;

მ.გ) მე-3 სვეტში მიეთითება ზომის ერთეული. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევაში, პირველ სტრიქონზე აისახება ზომის ერთეული ლიტრებში, ხოლო მე-2 სტრიქონზე - ზომის ერთეული კგ-ში. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;

მ.დ) მე-4 სვეტში მიეთითება საქონლის რაოდენობა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევის შემთხვევაში, სვეტის პირველ სტრიქონზე მიეთითება მიწოდებული საქონლის რაოდენობა ლიტრებში, ხოლო ამავე სვეტის მე-2 სტრიქონზე – მიწოდებული საქონლის რაოდენობა კგ-ში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მე-4 სვეტის პირველ სტრიქონზე მითითებულია საქონლის რაოდენობა ლიტრებში. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;



მ.ე) მე-5 სვეტში მიეთითება საქონლის ერთეულის ფასი (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე დღგ-ის და აქციზის ჩათვლით). ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“, „დ.ა.გ“, „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას ან/და მომსახურების გაწევისას;

მ.ვ) მე-6 სვეტში მიეთითება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საკომპენსაციო თანხა (დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის, აქციზურ საქონელზე დღგ-ის და აქციზის ჩათვლით) ან მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხა/თანხის ნაწილი (ავანსი), თუ თანხის გადახდა დღგ-ის გადამხდელისთვის ხორციელდება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე. ამასთან, აღნიშნული სვეტის შევსება სავალდებულო არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“, „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას;

მ.ზ) მე-7 სვეტიდან აირჩევა დღგ-ით დაბეგვრის ერთ-ერთი პირობა:

მ.ზ.ა) დასაბეგრი;

მ.ზ.ბ) დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული;

მ.ზ.გ) დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული;

მ.თ) მე-8 სვეტში დღგ-ის გადამხდელის მიერ მიეთითება დღგ-ის თანხა, მე-7 სვეტში „დასაბეგრი“ ოპერაციის არჩევისას. „დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული“ ოპერაციის არჩევისას – „0“, ხოლო „ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული“ ოპერაციის არჩევის შემთხვევაში დღგ-ის გრაფა არ ივსება. აღნიშნული სვეტი არ ივსება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“ „დ.ა.დ“, „დ.ა.ე“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტების არჩევისას;

მ.ი) მე-9 სვეტში, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, მიეთითება აქციზის თანხა, სხვა შემთხვევაში – აღნიშნული სვეტი არ ივსება;

მ.კ) მე-10 სვეტი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მიეთითება:

მ.კ.ა) ამავე ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებული თითოეული მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის ერთი კონკრეტული ნომერი. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება ასევე სავალდებულოა მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შემდგომში – პროდუქტი) ტრანსპორტირებისას (გარდა ამავე პუნქტის შენიშვნით გათვალისწინებული შემთხვევისა), მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება, მისი ტრანსპორტირების ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან, ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ, კონკრეტული დასახელების თითოეულ პროდუქტზე, ცხრილის მე-9 სვეტში სავალდებულოა მიეთითოს შესაბამისი ერთი კონკრეტული სპეციალური ფირნიშის ნომერი, რომლით მარკირებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან/და ხე-მცენარის გადამუშავების შედეგადაც არის მიღებული პროდუქტი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი დასახელების პროდუქტი მიღებულია სხვადასხვა სპეციალური ფირნიშით მარკირებული ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარისგან, თითოეულისაგან





მიღებული პროდუქტი, ასევე ცალ-ცალკე იწერება ცხრილის პირველ სვეტში რიგითი ნომრის მიხედვით;

მ.კ.ბ) ამავე ცხრილის პირველ სვეტში ცალ-ცალკე რიგითი ნომრის მიხედვით მითითებულ მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების თითოეულ პროდუქტზე, ამ პუნქტის „მ.კ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის“ (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, შემდგომში – რეგლამენტი) №14 დანართით გათვალისწინებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ ცნობის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, შემდგომში – ცნობა) ნომერი, თუ რეგლამენტით განსაზღვრული სახერხი საამქროდან მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტი გატანილია ამავე რეგლამენტით გათვალისწინებულ ელექტრონულ ჟურნალში ცნობის გენერირების სახერხი საამქროსათვის ვალდებულების დადგენის მომენტიდან;

**შენიშვნა:** ცხრილის მე-10 სვეტში სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის:

1) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მიწოდება;

2) წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის ტრანსპორტირებისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსისა;

3) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას ამ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

4) იმპორტირებული, მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირებისას;

5) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „მ.კ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6) მე-14 სტრიქონში მიეთითება საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღგ-ის თანხა;



**შენიშვნა:** მე-14 სტრიქონში ავანსზე გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის დღგ-ის თანხის გრაფაში მიეთითება ის თანხა, რომელსაც იყენებს პირი საანგარიშო პერიოდში მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების მიხედვით დასარიცხი დღგ-ის თანხის გასანაშთად/ შესამცირებლად. ამასთან, ეს თანხა (ჯამურად) არ უნდა აღემატებოდეს ავანსზე გამოწერილ საგადასახადო დოკუმენტში დაფიქსირებულ დღგ-ის თანხას.

ო) მე-15 სტრიქონში მიეთითება საქონლის უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტის სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი;

პ) მე-16 სტრიქონში საქონლის ტრანსპორტირების შემთხვევაში მიეთითება ტრანსპორტირების დაწყების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) და დრო (საათი, წუთი);

ჟ) მე-17 სტრიქონში იწერება ტრანსპორტირების სახე:

ჟ.ა) საავტომობილო;

ჟ.ბ) სარკინიგზო;

ჟ.გ) საავიაციო;

ჟ.დ) საზღვაო;

ჟ.ე) მილსადენი;

ჟ.ვ) გადამზიდავი საავტომობილო;

ჟ.ზ) სხვა;

რ) მე-18 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება გამყიდველის/გამგზავნის ან მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი ლარებში. თუ ტრანსპორტირება ხორციელდება მყიდველის/მიმღების ან გამყიდველის/გამგზავნის საკუთრებაში ან სარგებლობაში (იჯარა) არსებული სატრანსპორტო საშუალებით, აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ს) მე-19 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება იმ სატრანსპორტო საშუალების ნომერი, რომლითაც ხდება საქონლის გადაზიდვა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარკინიგზო გადაზიდვისას მიეთითება ვაგონის ნომერი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ტ) მე-20 სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის სახელი და გვარი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;



უ) 21-ე სტრიქონში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ.ა“ და „ჟ.ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იწერება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ფ) 22-ე სტრიქონში მიეთითება გადამზიდავის სახელწოდება ან სახელი და გვარი. აღნიშნული სტრიქონი ივსება იმ შემთხვევაში, თუ შევსებულია 21-ე სტრიქონი;

ქ) 23-ე სტრიქონში მიეთითება გადამზიდავის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი. აღნიშნული სტრიქონი ივსება იმ შემთხვევაში, თუ შევსებულია 21-ე სტრიქონი;

ღ) 24-ე სტრიქონი ივსება მხოლოდ ოპერაციის შინაარსში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოპერაციის არჩევისას და მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე/მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შექმნის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, კერძოდ:

ღ.ა) მრგვალი ხე-ტყის (მორი) ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზიის ან შესაბამისი გრძელვადიანი ტყითარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე დადგენილი წესით გაცემული – ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01<sup>3</sup> დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ღ.ბ) ხე/მცენარის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე/მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და დადგენილი წესით გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01<sup>3</sup> დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ღ.გ) იმპორტის შემთხვევაში – იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ღ.დ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ღ.ე) სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრებით მიღებული ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი;

ღ.ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე/მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის პირის (მათ შორის, სახელმწიფოს) საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;



დ.ზ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყისა (მორის) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01<sup>3</sup> დანართით გათვალისწინებული ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის საგადასახადო დოკუმენტი;

ყ) 25-ე სტრიქონი ივსება მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ:

ყ.ა) იმპორტის შემთხვევაში მიეთითება სასაქონლო დეკლარაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი, ხოლო სხვა შემთხვევაში აღნიშნული სტრიქონი არ ივსება;

ყ.ბ) ნავთობპროდუქტის შექმნისას გამოწერილი შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნსაფ-ის ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის საგადასახადო დოკუმენტი (სერია, ნომერი და გამოწერის თარიღი);

ყ.გ) სხვა შემთხვევებში (მოპოვება, წარმოება, შექმნა ნსაფ-ის ან ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის საგადასახადო დოკუმენტის გარეშე, შექმნა აუქციონზე, მიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) – შესაბამისი დოკუმენტის დასახელება და რეკვიზიტები. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიღებულია ნავთობპროდუქტების გამამუშავებით, ამ სტრიქონში მიეთითება ძირითადი ნედლეულის (რომლის რაოდენობაც აჭარბებს დანარჩენ ნედლეულის რაოდენობას) შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**შენიშვნა:** აღნიშნული სტრიქონის შევსება სავალდებულო არ არის ნავთობპროდუქტის საცალო მიწოდების შემთხვევაში.

შ) მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონზე მიეთითება მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის/მომსახურების მიღების დადასტურების თარიღი, სხვა შემთხვევაში (მ.შ. კორექტირებისას) ოპერაციის დადასტურებისას – დასტურის თარიღი;

**შენიშვნა:** 26-ე სტრიქონი არ ივსება დისტრიბუციისა და შიდა გადაზიდვის შემთხვევებში.

ჩ) 27-ე და 28-ე სტრიქონებში შესაბამისად მიეთითება გამყიდველის/გამგზავნის და მყიდველის/მიმღების ხელმოწერა.

3. საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

ა.ა) თუ მიწოდება ხდება ტრანსპორტირებით, გამოწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიზნით. მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემდეგ, გამოწერილი ავსებს მე-16 სტრიქონს (ტრანსპორტირების დაწყების თარიღს და დროს). საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ითვლება ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებიდან;



ა.ბ) თუ მიწოდება ხდება ტრანსპორტირების გარეშე, გამომწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიზნით. საგადასახადო დოკუმენტი გამომწერილად ითვლება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემდეგ;

**შენიშვნა:** ფიზიკური პირის მიერ, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ან/და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, საცალო მიწოდებაზე საგადასახადო დოკუმენტის გამომწერის მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო დოკუმენტის გამომწერისას საგადასახადო დოკუმენტი არ საჭიროებს მყიდველის მხრიდან დადასტურებას.

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

ბ.ა) ტრანსპორტირებით საქონლის მიწოდებისას გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ ხდება მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითება, რის შემდეგაც აღნიშნული დოკუმენტი დასრულებულია ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (საქონლის მიღებაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

ბ.ბ) თუ საქონლის მიწოდება ხდება ტრანსპორტირების გარეშე, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტში მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას:

გ.ა) თუ ადგილი აქვს საქონლის მიწოდებას ტრანსპორტირებით, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, ხდება მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითება, რისი შევსების შემდეგაც აღნიშნული დოკუმენტი დასრულებულია ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება 26-ე სტრიქონის (საქონლის მიღებაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;

გ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის ტრანსპორტირების გარეშე მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად რეალიზაციისა და საქონლის ნაშთის განსაზღვრის მიზნებისათვის. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (მომსახურების მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღის) შევსების შემთხვევაში;



დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე/თანხის ნაწილზე საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას გამომწერის მიერ ინსტრუქციით დადგენილი წესის მიხედვით საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ, დოკუმენტზე ნომრის მინიჭება ითვლება დოკუმენტის დასრულებად. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის მიერ 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსების შემთხვევაში;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კორექტირების პირობის დადგომისას საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, საგადასახადო დოკუმენტის ცხრილში აისახება კორექტირების შედეგად მიღებული საბოლოო მონაცემები. საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების შევსების შემდეგ, აღნიშნული გადაეგზავნება მყიდველს, ოპერაციაზე დასტურის მიზნით. საგადასახადო დოკუმენტი გამომწერილად ითვლება მყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტის 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსებისთანავე;

**შენიშვნა:** კორექტირების პირობა აირჩევა აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღის შევსების გარეშე გამყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტი წარდგენილია დღგ-ის დეკლარაციით.

ვ) მიუხედავად ამ პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებებისა, ფიზიკურ პირებზე, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, საქონლის მიწოდებისას/მომსახურების გაწევისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემთხვევისა, დოკუმენტი გამომწერილად ითვლება გამომწერის მიერ საგადასახადო დოკუმენტის მონაცემების სრულად შევსების შემდეგ დოკუმენტზე ნომრის მინიჭებისთანავე, ხოლო საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას – მე-16 სტრიქონში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებისთანავე. აღნიშნულზე მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის მიღებაზე/ოპერაციის შესრულებაზე დასტური საჭირო არ არის.

4. საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) პირის მიერ, რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისა, მყიდველის/მიმღების მიერ 26-ე სტრიქონის (საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსებამდე შესაძლებელია საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება, გარდა გამოწერის თარიღის, ნომრის, ოპერაციის შინაარსის, ტიპის, მიმღების, საქონლის დასახელებისა და ოდენობისა;



ბ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისა, მყიდველის მიერ არ არის შევსებული 26-ე სტრიქონი (საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურის თარიღი) და ამავდროულად გამომწერის მიერ აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტი არ არის დეკლარირებული, გამომწერს უფლება აქვს განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება, გარდა გამომწერის თარიღის, ნომრის, ოპერაციის შინაარსის, ტიპის, მიმღებისა და საქონლის რაოდენობისა.

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისას, გამომწერილ საგადასახადო დოკუმენტში არასწორად (შეცდომით) შეტანილი რეკვიზიტების გასწორება (გარდა გამომწერის თარიღის, ტიპის და ოპერაციის შინაარსისა) შესაძლებელია მხოლოდ მყიდველის მიერ საგადასახადო დოკუმენტის 26-ე სტრიქონის (ოპერაციაზე დასტურის თარიღი) შევსებამდე.

5. საქონლის ტრანსპორტირებით მიწოდებისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია საგადასახადო დოკუმენტის მე-19, მე-20 და 21-ე სტრიქონებში გაკეთდეს ახალი ჩანაწერი საქონლის ტრანსპორტირების დასრულებამდე.

6. იმ შემთხვევაში, თუ პირს წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და ვალდებულების წარმოშობის პერიოდის შემდგომ გამომწერილ საგადასახადო დოკუმენტში დღგ-ის თანხა არ არის მითითებული, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის საფუძველზე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-8 სვეტში მითითოს დღგ-ის თანხა.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის არჩევისას:

ა) საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნავთობპროდუქტზე და მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე (სარკინიგზო გადაზიდვებისას – თითოეულ ვაგონზე);

ბ) თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნაღდო ანგარიშსწორებით, ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია, ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს დამატებით შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახის მიწოდებაზე გამომწერილი საგადასახადო დოკუმენტის მე-11, მე-13, მე-16, მე-19-23-ე და 25-ე სტრიქონები არ ივსება, მე-10 სტრიქონში იწერება „საცალო“, მე-12 სტრიქონში კი –საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული შვიდნიშნა კოდი;



გ) თუ ნავთობპროდუქტის მიწოდება ხორციელდება ტალონებით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხული უნადლო ანგარიშსწორებით, ამასთან, პირს არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი და ნავთობპროდუქტი შეძენილი აქვს გამყიდველის საცავში შენახვისა და ტალონების საშუალებით შემდგომი რეალიზაციის პირობით, პირი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით მიწოდებისას პირის მიერ საგადასახადო დოკუმენტი შეივსება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული წესის შესაბამისად, ხოლო ასეთი წესით რეალიზაციისათვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტის შეძენისას გამყიდველი საგადასახადო დოკუმენტის მე-13 სტრიქონზე უთითებს პირისათვის ზემოაღნიშნული სახით რეალიზაციისათვის მინიჭებულ შვიდნიშნა კოდს;

დ) პირი, რომელიც ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად შეძენილი ნავთობპროდუქტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას/გახარჯვას მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა), აღნიშნული ნავთობპროდუქტის კანონმდებლობით დადგენილი წესით ტრანსპორტირების შემთხვევაში (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში ჩასხმული ნავთობპროდუქტისა), საწვავის მიღების ადგილიდან ზემოხსენებული ძირითადი საშუალების მდებარეობის ადგილამდე გადაზიდვისას, თუ პირს არა აქვს აღნიშნულ მისამართზე საკუთრებაში/სარგებლობაში სტაციონარული ობიექტი, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს საგადასახადო ორგანოს, რომელიც მას ანიჭებს შვიდნიშნა კოდს. აღნიშნული კოდი არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი. ასეთი სახით შეძენილი ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებისას პირის მიერ შეივსება საგადასახადო დოკუმენტი, რომლის ოპერაციის ტიპში (მე-4 სტრიქონი) მიეთითება „შიდა გადაზიდვა“. ამასთან, საგადასახადო დოკუმენტის მე-10, მე-11 და მე-13 სტრიქონები არ ივსება, ხოლო 25-ე სტრიქონში ჩაიწერება შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მიღებული აქვს ამ პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად და მე-12 სტრიქონზე ჩაიწერება ნავთობპროდუქტის მესაკუთრის შვიდნიშნა კოდი, რომელიც არ არის სტაციონარული ობიექტის მაიდენტიფიცირებელი.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის არჩევისას საგადასახადო დოკუმენტის მე-10-მე-13 და მე-14-25-ე სტრიქონები არ ივსება.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა.გ“, „დ.ბ.გ“ და „დ.გ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევის (შიდა გადაზიდვა) არჩევისას საგადასახადო დოკუმენტის მე-9 სტრიქონში იწერება მე-8 სტრიქონის მონაცემები. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის.

10. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ბ.ბ“ და „დ.გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე) საგადასახადო დოკუმენტის მე-10 და მე-11 სტრიქონებში იწერება საქონლის მდებარეობის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტის მე-16-23-ე სტრიქონები არ ივსება.





11. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.გ.გ“ ქვეპუნქტის არჩევისას:

ა) დისტრიბუციის მიზნით დისტრიბუტორისათვის საქონლის სარეალიზაციოდ გადაცემისას, აგრეთვე საკუთარ რამდენიმე ობიექტზე ერთი სატრანსპორტო საშუალებით საქონლის გადატანა/გადაადგილებისას (შიდა გადაზიდვისას), საქონლის გამყიდველი/გამგზავნი ან საქონლის ჩამბარებელი საქონლის მთელ მოცულობაზე გამოწერს ერთიან საგადასახადო დოკუმენტს, რომელშიც არ ივსება საგადასახადო დოკუმენტის მხოლოდ მე-9 და მე-11 სტრიქონები, ხოლო საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის;

ბ) დისტრიბუციის წესით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტით ტრანსპორტირებული საქონლის მყიდველზე/მიმღებზე ჩაბარებისას, დისტრიბუტორი ავსებს საგადასახადო დოკუმენტს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის ცხრილში შეიტანება მყიდველისთვის/მიმღებისათვის მისაწოდებელი/მისაღები საქონლის მონაცემებს.

12. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ბ.დ“ და „დ.გ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქონლის უკან დაბრუნებისას, საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება გამყიდველის (საქონლის თავდაპირველად მიწოდებლის, ვინც იბრუნებს აღნიშნულ საქონელს) მიერ. საქონლის გამყიდველის/გამგზავნის მიერ მე-10 სტრიქონში იწერება უკან დასაბრუნებელი საქონლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, მე-11 სტრიქონში კი – უკან დასაბრუნებელი საქონლის საბოლოო დასაწყობების ადგილი, საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-4 სვეტში კი უკან დასაბრუნებელი/დაბრუნებული საქონლის ოდენობა. უკან დასაბრუნებელი საქონლის ტრანსპორტირების მიზნებისათვის საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების შევსება სავალდებულო არ არის. ტვირთის ტრანსპორტირების მიზნებისათვის, საგადასახადო დოკუმენტი გამოწერილად ჩათვლება გამომწერის მიერ ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითებიდან. ამასთან:

ა) საქონლის უკან დაბრუნებისას საგადასახადო დოკუმენტში ტრანსპორტირების დაწყების თარიღის მითითების შემდეგ გამოიწერს (რომელიც არ არის დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი) ან დღე-ის გადამხდელს, რომლის მიერ საქონლის მიწოდებისას (რომლის უკან დაბრუნებაც წარმოებს) არ გამოწერილა მიწოდების საგადასახადო დოკუმენტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, უფლება აქვს დაარედაქტიროს/დაასრულოს აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტი ცხრილის რეკვიზიტების (ერთეულის ფასი, საქონლის/მომსახურების ღირებულება, დღე-სა და აქციზის თანხები ერთეულის ფასი, საქონლის/მომსახურების ღირებულების, დღე-სა და აქციზის თანხები) სრულად მითითების მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტი დასრულებულად ითვლება, მყიდველის მიერ ოპერაციაზე დასტურის შემდეგ. მყიდველს ოპერაციაზე დასტურის მიცემა შეუძლია მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტში მონაცემების (საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის მე-5-მე-9 სვეტების) შევსების დასრულების შემდეგ;



ბ) დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ საქონლის უკან დაბრუნების საფუძვლის არსებობისას, როდესაც საქონლის მიწოდებაზე გამოწერილია საგადასახადო დოკუმენტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, შესაბამისი პერიოდის მიხედვით საქონლის მიწოდებისას გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტი ექვემდებარება კორექტირებას, რომლის დროსაც, თუ უკან დაბრუნებისას ტრანსპორტირების მიზნებისთვის გამოწერილია უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტი კორექტირების საგადასახადო დოკუმენტის მე-15 სტრიქონზე მიეთითება „უკან დაბრუნების დოკუმენტის“ ნომერი.

#### შენიშვნა:

1) დღგ-ის გადამხდელ პირს არ წარმოეშობა ტრანსპორტირების მიზნით გამოწერილი უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტის დეკლარირების ვალდებულება;

2) თუ ადგილი აქვს მყიდველის მიერ საქონლის გამყიდველთან უკან მიბრუნებას, გამყიდველის მიერ უკან დაბრუნების დოკუმენტის გამოწერის გარეშე, მყიდველი უფლებამოსილია უკან მისაბრუნებელი საქონლის ტრანსპორტირების მიზნებისთვის გამოწეროს საგადასახადო დოკუმენტი რომლის მე-4 სტრიქონში მიეთითება „შიდა გადაზიდვა“, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ.გ.დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

13. საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა სავალდებულო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდებისას. ამ დროს გამოიყენება საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მყიდველი ითხოვს საგადასახადო დოკუმენტის გამოწერას;

ბ) ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნულ (ექსპორტში მოქცეული) ნავთობპროდუქტებზე საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე ტრანსპორტირებისას. ამ შემთხვევაში, ტრანსპორტირების დოკუმენტად ითვლება საბაჟო დეკლარაცია;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, ამ ინსტრუქციის №III-08 დანართში აღნიშნული საქონლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწოდების (მათ შორის, რეალიზაცია, პრივატიზება), ტრანსპორტირების და შენახვის შემთხვევაში;

დ) სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის ან/და მისი პირველადი გადამამუშავების პროდუქტებზე;

ე) ხე-ტყის მომპოვებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტყიდან დანიშნულების ადგილამდე (პირველადი დასაწყობების ან პირველად გადამამუშავებელ ობიექტამდე) ტრანსპორტირებისას;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ხე-მცენარეებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობით ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით ხე-მცენარეების მისი მესაკუთრის მიერ ტრანსპორტირებისას, გარდა მიწოდებისა;



ზ) აუქციონის შედეგების შესახებ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

თ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

ი) შესაბამისი პირისათვის მომსახურების გასაწევად განკუთვნილი იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ტრანსპორტირებისას, რომელიც რჩება მომსახურების გამწევის საკუთრებაში;

კ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების ტრანსპორტირების შემთხვევაში;

ლ) სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის შემაფერხებელი ავარიული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას;

მ) იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მატერიალური საგნის (მიუხედავად მისი ფორმისა ან ბუნებისა) ტრანსპორტირებისას, რომლის გადაადგილება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხის“ შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

**შენიშვნა:** ამ პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ამავე ქვეპუნქტებში მითითებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება შედგენიდან არაუმეტეს 24 საათისა. ამასთან, ამ პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ბრძანებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე არ წარმოადგენს საგადასახადო დოკუმენტის გარეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირების საფუძველს.

14. მომსახურების მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, ერთ თვეში გაწეულ მომსახურებებზე, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმის ერთი საგადასახადო დოკუმენტი.

15. დღგ-ის გადამხდელის მიერ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირებისას საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოპერაციაზე (მიწოდებისას) გამოწერილი იყო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი. კორექტირების შემთხვევაში საგადასახადო დოკუმენტი ივსება ამ მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, კორექტირების მიზნით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის ცხრილის შესაბამის სვეტებში მიეთითება კორექტირების შემდეგ არსებული მონაცემები.



16. საგადასახადო დოკუმენტი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტად განიხილება მყიდველის/მიმღების მიერ „საქონლის მიღებაზე/ოპერაციაზე დასტურზე“ თანხმობის შემთხვევაში, ხოლო კორექტირების შემთხვევაზე –მყიდველის მიერ ოპერაციაზე დასტურის შემთხვევაში.

17. საგადასახადო დოკუმენტი წარმოადგენს პირველად საგადასახადო დოკუმენტს. აღნიშნულის ელექტრონულად შევსების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განახორციელოს რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

18. საქონლის ტრანსპორტირებისას ელექტრონული პროგრამიდან ამობეჭდილი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენება სავალდებულო არ არის. აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს სამართალდარღვევას და პირს არ დაეკისრება დოკუმენტის გარეშე საქონლის ტრანსპორტირებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

#### **მუხლი 56<sup>2</sup>. საგადასახადო დოკუმენტის წარდგენა**

1. დღგ-ის გადამხდელის მიერ ამ ინსტრუქციის დანართი №III-07<sup>1</sup> ფორმით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტის მონაცემები შეიტანება საგადასახადო ორგანოში წარსადგენ დღგ-ის დეკლარაციაში.

2. არასწორად ან არასრულად (რომელიმე რეკვიზიტის გარეშე) შევსებულ საგადასახადო დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნია და ჩათვლის დოკუმენტად არ განიხილება.

3. არასწორად შევსებული (შეცდომით შეტანილი რეკვიზიტებით) საგადასახადო დოკუმენტი ექვემდებარება გაუქმებას. მყიდველის/მიმღების მიერ საქონლის/მომსახურების მიღებაზე დასტურის მიცემის შემდეგ, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საგადასახადო დოკუმენტის გაუქმებისას, საგადასახადო დოკუმენტი გაუქმებულად ითვლება გაუქმების ოპერაციაზე მყიდველის თანხმობის (დასტურის) შემთხვევაში.

4. ტრანსპორტირებით საქონლის მიწოდებისას, საქონლის მიღებაზე დასტურის შემდეგ საგადასახადო დოკუმენტი არ ექვემდებარება გაუქმებას.“.

2. XIII<sup>1</sup> თავის შემდეგ დაემატოს:

ა) №III-07<sup>1</sup> დანართი თანდართული რედაქციით;

ბ) №III-07<sup>2</sup> დანართი თანდართული რედაქციით.

#### **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ნოემბრიდან.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი**

**ივანე მაჭავარიანი**



„დანართი №III-07<sup>1</sup>“

საგადასახადო დოკუმენტი

1	სერია და ნომერი	2	საგადასახადო დოკუმენტი/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლის კორექტირებაც ხდება (სერია, ნომერი)
3	ოპერაციის შინაარსი	4	ოპერაციის ტიპი
5	ოპერაციის განხორციელების პერიოდი (რიცხვი, თვე(სიტყვიერად, წელი)	6	გამოწერის თარიღი (რიცხვი, თვე(სიტყვიერად), წელი)
7	ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის №		
8	გამყიდველი/გამგზავნი	9	მყიდველი/მიმღები
8.1	(საიდენტიფიკაციო ნომერი)	9.1	(საიდენტიფიკაციო ნომერი)
8.2	დასახელება/სახელი, გვარი	9.2	დასახელება/სახელი, გვარი
10	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)	11	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)
12	ტრანსპორტირების დაწყების ადგილის ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი	13	ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის ან ბუნკირების გემის სარეგისტრაციო ნომერი

საქონლის/მომსახურების დასახელება	საქონლის კოდი	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საქონლის/მომსახურების ღირებულება/აგანხი	მათ შორის:		აქციის თანხა	მრგვალი ხე ტვის (მორის), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის/მრგვალი ხე ტვის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადაამუშავების პროდუქტის სახერხი სააქტროდან გატანის შესახებ ცნობის №
						დახვეწის პირობა	დღგ-ის თანხა		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სულ									

14	ავანსზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/საგადასახადო დოკუმენტის	15	უკან დაბრუნების საგადასახადო დოკუმენტის	
ერია/ნომერი	თარიღი	დღგ-ის თანხა	სერია/ნომერი	თარიღი
16	ტრანსპორტირების დაწყების თარიღი, დრო	17	ტრანსპორტირების სახე	



18	გამყიდველის/გამგზავნის/მყიდველის/მიმღების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი (თანხა ლარიზში)	19	სატრანსპორტო საშუალების მარკა, ნომერი (ვაგონის ნომერი)
20	მძღოლის სახელი, გვარი	21	მძღოლის პირადი ნომერი
22	გადამზიდავის სახელწოდება ან სახელი, გვარი	23	გადამზიდავის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი
24	მრგვალი ხე-ტყისა (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შექმნის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი		
25	ნავთობპროდუქტის იმპორტის ან შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი		
26	საქონლის/მომსახურების მიღებაზე / ოპერაციაზე დასტურის თარიღი		
გამყიდველის ხელმოწერა	27	მყიდველის ხელმოწერა	28
შენიშვნა			



„დანართი №III-07“

№	ხე-ტყე და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც გამოიწერება საგადასახადო დოკუმენტი
ა)	მრგვალი ხე-ტყე (მორი) – ხე-ტყის ან ხე/მცენარის დამზადების შედეგად (მათ შორის, ძირნაყარი ხე-ტყისგან) მიღებული 12 სმ-ზე მეტი (წვრილი თავის ბოლოდან) დიამეტრის, ასევე დადგენილი წესით დაფირნიშებული წვრილი თავის ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი;
ბ)	მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტი, კერძოდ:
ბ.ა)	ფიცარი – სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი განიერი და ორი ვიწრო გვერდი;
ბ.ბ)	ძელი – სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწილი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი;
ბ.გ)	ძელაკი – მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე;
ბ.დ)	შპალი – დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს გაჟღენთილი ან გაუჟღენთავი;
ბ.ე)	საპარკეტე ფრიზა – მცირე ზომის ნამზადი, რომლის შეშრობისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი;
ბ.ვ)	შავად ნამზადი დეტალი – გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნამზადი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება სასურველი სახის დეტალი;
ბ.თ)	ფანერა (შპონი) – სპეციალურ დაზგა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი;
ბ.თ)	დაპობილ-დაჩეხილი სათბობი შეშა;
გ)	ხე-მცენარეები – თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებული ხე-მცენარეები, მათ შორის, კაკლის, ბალამწარას, წაბლისა და თუთის სახეობები (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა);
დ)	ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილ მრგვალ ხე-ტყე (მორი) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყეზე.”.



## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

### ბრძანება №322

2018 წლის 24 აგვისტო, ქ. თბილისი

#### „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. 75<sup>8</sup> მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XIX<sup>3</sup> თავი:

#### „თავი XIX<sup>3</sup>“

#### ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები

#### მუხლი 75<sup>9</sup>. ზოგადი დებულებები

ამ თავით განისაზღვრება იმ პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელს (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომში ასევე გადამხდელი), აგრეთვე კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დანიშნავს გადამხდელი.

#### მუხლი 75<sup>10</sup>. დღგ-ის თანხის დაბრუნების უფლებამოსილი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი

1. გადამხდელს უფლება აქვს, დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა) შექმნისას ან/და მომსახურების შექმნისას ან საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) პირი საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით არ ახორციელებს ან მისი საქმიანობის ადგილი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ არის;





ბ) პირის მიერ საქართველოში შექმნილი საქონელი/მომსახურება ან იმპორტირებული საქონელი დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოიყენება;

გ) მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა, ჩაეთვალა გადახდილი დღგ.

#### **მუხლი 75<sup>11</sup>. უფლებამოსილი წარმომადგენელი**

1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით გადამხდელი ვალდებულია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც ამ წესით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების ფარგლებში ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის ამ წესითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები.

2. უფლებამოსილი წარმომადგენელი წარმოადგენს გადამხდელის ინტერესებს და მოქმედებს მის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე, ასეთი მინდობილობით, ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. უფლებამოსილი წარმომადგენელი უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი და რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც ინიშნება გადამხდელის მიერ, გადამხდელთან ერთად სოლიდარულად პასუხისმგებელია არასწორი ინფორმაციის საფუძველზე დაბრუნებული დღგ-ის თანხის ანაზღაურებაზე.

5. დღგ-ის თანხის დაბრუნების ნებისმიერი შემდგომი განცხადების დაკმაყოფილება არ ხდება თუ გადამხდელს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს გააჩნიათ შეუსრულებელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება.

#### **მუხლი 75<sup>12</sup>. დღგ-ის თანხის დაბრუნების განცხადება**

1. გადამხდელმა, დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება **NIII-28** დანართის ფორმით.

2. განცხადება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და მოთხოვნილი თანხა მითითებული უნდა იყოს ლარში.

#### **მუხლი 75<sup>13</sup>. დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

1. განცხადებით წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:



ა) საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი პირისათვის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ასლი (არსებობის შემთხვევაში კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურები);

ბ) საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში – იმპორტის საბაჟო დეკლარაციის ასლი და იმპორტის გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) უფლებამოსილი წარმომადგენლის დანიშვნის დამადასტურებელი მინდობილობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან ერთად განცხადებას თან უნდა ერთოდეს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც უნდა აღინიშნოს:

ა) გადამხდელისათვის ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მინიჭებული დღგ-ით დასაბეგრი პირის სარეგისტრაციო ნომერი და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი;

ბ) ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში დღგ-ის ჩათვლისათვის გამოყენებული პროპორცია;

გ) საქმიანობის სახე, რასაც ეწეოდა გადამხდელი იმ საანგარიშო პერიოდში, რაზეც წარმოდგენილია დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა, წარმოადგენს თუ არა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

3. ამ ბრძანების მიზნებისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც შედგენილი არ არის ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

4. გადამხდელი ვალდებულია, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნის შესაფასებლად.

#### **მუხლი 75<sup>14</sup>. საანგარიშო პერიოდი, რომელზეც შეიძლება დღგ-ის თანხის დაბრუნება**

დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით განცხადების წარდგენისას, განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 1 კალენდარულ წელს და არ შეიძლება იყოს კალენდარული წლის სამ თვეზე ნაკლები. ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს სამ თვეზე ნაკლებ საანგარიშო პერიოდზეც, თუ ის მოიცავს კალენდარული წლის დასრულებამდე დარჩენილ, სამ თვეზე ნაკლებ საანგარიშო პერიოდს (მაგალითად 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).

**მუხლი 75<sup>15</sup>. მოთხოვნილი დღგ-ის თანხის მინიმალური ოდენობა**

1. თუ განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელზე ნაკლებს, მაგრამ არანაკლებ სამთვიან საანგარიშო პერიოდს, მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს **1200** ლარზე ნაკლები.

2. თუ განცხადებაში მითითებული საანგარიშო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს ან კალენდარული წლის დარჩენილ საანგარიშო პერიოდს რომელიც ნაკლებია **3** თვეზე (მაგალითად **1** ნოემბრიდან **31** დეკემბრამდე), მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ოდენობა არ შეიძლება იყოს **120** ლარზე ნაკლები.

**მუხლი 75<sup>16</sup>. განცხადების წარდგენის ვადები**

განცხადება საგადასახადო ორგანოს შეიძლება წარედგენოს სამთვიანი საანგარიშო პერიოდის ან კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო თვეში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა იმ კალენდარული წლის დასრულებიდან, რომელშიც განხორციელდა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 75<sup>17</sup>. დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე უარი**

დღგ-ის თანხა არ ბრუნდება, თუ:

ა) განცხადებაში აღნიშნული ოპერაციის მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი არ იქნებოდა, ჩათვალა გადახდილი დღგ;

ბ) გადამხდელის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა საქონლის/მომსახურების შეძენა ან/და საქონლის იმპორტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე;

გ) ამ ინსტრუქციის **75<sup>18</sup>** მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული **1**-თვიან ვადაში არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია არასწორი სახით ამ ინსტრუქციის **75<sup>13</sup>** მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია;

დ) სახეზეა ამ ინსტრუქციის **75<sup>11</sup>** მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით დამტკიცებულ სავალდებულო კრიტერიუმებს;

ვ) განცხადება არ შეესაბამება ამ ბრძანების და საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს.



### **მუხლი 75<sup>18</sup>. დღგ-ის თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება**

1. გადამხდელის განცხადებით მოთხოვნილი დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება მიიღება შემოსავლების სამსახურში განცხადების რეგისტრაციის დღიდან ექვსი თვის ვადაში, რის შემდეგაც გადაწყვეტილება კუზავნება გადამხდელს, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ ინსტრუქციის 75<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენლობის ან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის ან განცხადებით წარმოდგენილი საკითხის გადაჭრის მიზნით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური განმცხადებელს აძლევს დამატებით 1-თვიან ვადას ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რა დროსაც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

3. თუ შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით განცხადება არ კმაყოფილდება ან კმაყოფილდება ნაწილობრივ, გადაწყვეტილებაში მიეთითება დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

4. დღგ-ის თანხის დაბრუნება ხდება უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ჩარიცხვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

### **მუხლი 75<sup>19</sup>. დაბრუნებული დღგ-ის თანხის გადახდის მეთოდი**

დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის გადახდა ხდება ლარში.

### **მუხლი 75<sup>20</sup>. გასაჩივრების პროცედურა**

ამ ინსტრუქციის 75<sup>18</sup> მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. XIX<sup>3</sup> თავის შემდეგ დაემატოს NIII-28 დანართი თანდართული რედაქციით.

### **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი



„დანართი NIII-28

**განცხადების ფორმა დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის დასაბრუნებლად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელისთვის**

ეს თქვენი პირველი ? დიახ											
<input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>											
თუ არა, მიუთითეთ უკანასკნელი განცხადების სარეგისტრაციო ნომერი											

უფლებამოსილი სამსახური

განცხადების მიღების დამადასტურებელი ბეჭედი

<b>1</b>	ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი (შემდგომში - გადამხდელი) კომპანიის დასახელება ან სახელი და გვარი ..... ქუჩისა და შენობის ნომერი ..... საფოსტო ინდექსი, მისამართი და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დასახელება
<b>2</b>	გადამხდელის უფლებამოსილი წარმომადგენლის კომპანიის დასახელება ან სახელი და გვარი ..... ქუჩისა და შენობის ნომერი ..... საფოსტო ინდექსი და მისამართი საქართველოში ..... საქართველოში დღგ-ის გადამხდელის სარეგისტრაციო ნომერი .....
<b>3</b>	გადამხდელის ევროკავშირის შესაბამის ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სახე..... გადამხდელის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობის სახე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.....
<b>4</b>	შესაბამისი საგადასახადო ორგანოს რეკვიზიტები და გადამხდელის სარეგისტრაციო ნომერი ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც დაფუძნებულია გადამხდელი ან სადაც მას გააჩნია მუდმივი დაწესებულება.
<b>5</b>	საანგარიშო პერიოდი, რაზეც განცხადებით მოთხოვნილია დღგ-ის თანხის დაბრუნება:
<b>6</b>	მოთხოვნილი თანხის მთლიანი ოდენობა (ციფრებით) - □□□   □□□   .□□□
<b>7</b>	საქართველოში უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის ნომერი..... ანგარიშის მფლობელის სახელი და გვარი ..... ბანკის დასახელება და მისამართი .....
<b>8</b>	თანდართული დოკუმენტების რაოდენობა: ..... გადამხდელზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის სერია და ნომერი: ..... გადამხდელის შესაბამისი იმპორტის საბაჟო დეკლარაციის ნომერი; .....
<b>9</b>	გადამხდელი და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი თანდართული დოკუმენტების საფუძველზე აცხადებენ, რომ: (ა) განცხადებაში აღნიშნული საქონელი და მომსახურება გამოყენებული იყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელის მიერ ..... პერიოდის განმავლობაში განხორციელებული .....(საქმიანობის დასახელება)..... საქმიანობის მიზნებისათვის; (ბ) წინამდებარე განცხადებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, გადამხდელი საქართველოში: o არ ახორციელებდა საქონლის და/ან მომსახურების მიწოდებას, რისთვისაც დაერიცხებოდა და გადაიხდიდა დღგ-ს საქართველოში; o ახორციელებდა მომსახურების გაწევას/საქონლის მიწოდებას საქართველოში, რომლისთვისაც გადასახადს იხდის მხოლოდ საგადასახადო აგენტი (უკუდაბეგვრა); o ახორციელებდა დღგ-ით დასაბეგრ იმ ოპერაციებს, რაზეც გამოიყენება ჩათვლის უფლება.



(გ) წინამდებარე განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს;

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი პასუხისმგებელი არიან, აანაზღაურონ არამართლობიერი გზით დაბრუნებული ნებისმიერი თანხა.

(თარიღი)

(საგადასახადო წარმომადგენლის ხელმოწერა)“.





# saqarTvel os erovnul i banki

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

### ბრძანება №186/04

2018 წლის 10 აგვისტო, ქ. თბილისი

**„კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 20 ივლისის №201 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების და მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

#### მუხლი 1

„კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 20 ივლისის №201 ბრძანებით (სსმ, 99, 27/07/2006) დამტკიცებულ „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესს“:

#### 1. პირველი მუხლის:

#### ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„21. უცხოური ვალუტით არსებულ აქტივებში არ შედის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად შექმნილი უცხოური ვალუტის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები, გარდა აქტივების გაცემისას შექმნილი საერთო რეზერვებისა“;



**ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი:**

„4<sup>1</sup>. უცხოური ვალუტით არსებული ბალანსგარეშე ვალდებულებები ასევე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად უცხოური ვალუტის კრედიტის გაცემასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე შექმნილ შესაძლო დანაკარგების რეზერვებს, გარდა საერთო რეზერვებისა.“.

**2. დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 მუხლი:**

**„მუხლი 7. გარდამავალი დებულებები**

2020 წლის 30 სექტემბრამდე, ამ წესის პირველი მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად შექმნილი უცხოური ვალუტის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები უცხოური ვალუტით არსებული აქტივებიდან დაიქვითება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

31-მარ-2019-მდე	31-მარ-2019-დან სექ-2019-მდე	30-სექ-2019-დან მარ-2020-მდე	31-მარ-2020-დან
0%	25%	50%	75%

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბერს.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი**

კობა გვენეტაძე





**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის****ბრძანება №194/04**

2018 წლის 27 აგვისტო, ქ. თბილისი

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 64<sup>1</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სამოქალაქო კოდექსი) 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისათვის, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ სესხის გაცემის შემთხვევაში:

ა) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი მსესხებლისათვის გათვალისწინებული/დაკისრებული 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშება მოხდება მსესხებლის მიერ სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღიდან და არ გაითვალისწინება ამ დღემდე გათვალისწინებული/დაკისრებული ნებისმიერი საკომისიო, ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (მათ შორის, ისეთი ხარჯები, რაც შესულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლო ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქცია;

ბ) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშებისას, სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას წარმოადგენს სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხა და ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ცვლილება არ გაითვალისწინება;

გ) თუ სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრა ხდება სესხის რესტრუქტურირაციის, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ მსესხებელთან) და გადავადებისას, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-5 წინადადების შესაბამისად, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი (სხვაობა სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრის შემდეგ არსებულ სესხის ნარჩენ ძირითად თანხასა და სესხის ვადის გადაცილების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას შორის).



## მუხლი 2

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტება განისაზღვროს თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

## მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 იანვრის №2/04 ბრძანება.

## მუხლი 4

ეს ბრძანება სესხის გამცემ სუბიექტებზე გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

## მუხლი 5

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი**

**კობა გვენეტაძე**

**დანართი №1**

### ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი ახდენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტებას და ამ განმარტების მიზნებისათვის მისი გაანგარიშების პრინციპების დადგენას.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **სესხი** – ნებისმიერი ტიპის სესხი/კრედიტი, მათ შორის, ოვერდრაფტი და საკრედიტო ბარათი;

ბ) **გამსესხებელი** – პირი, რომელიც გასცემს სესხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;



გ) მსესხებელი – პირი, რომელიც იღებს სესხს გამსესხებლისგან;

დ) სესხის მთლიანი თანხა – სესხის ხელშეკრულებით დადგენილი მთლიანი მისაღები თანხის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა;

ე) საპროცენტო განაკვეთი – სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე;

ვ) საჯარო ინდექსი – ისეთი საჯაროდ ხელმისაწვდომი მაჩვენებელი, განაკვეთი ან ინდექსი, რომელზეც სესხის გამცემი პირი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას;

ზ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული;

თ) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – ყველა სხვა ტიპის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი;

ი) ფინანსური ხარჯი – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნებისა და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს. ფინანსური ხარჯის გაანგარიშების წესი მოცემულია ამ წესის მე-3 მუხლში;

კ) სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი, მსესხებლის მიერ ამ ხარჯების გაწევის პერიოდის გათვალისწინებით;

ლ) დაკავშირებული სასესხო ხელშეკრულება – სესხის ხელშეკრულება გამსესხებელს და მსესხებელს შორის, რომლის მიხედვითაც გამსესხებელი სესხს გასცემს უშუალოდ საქონლის ან მომსახურების მიწოდების სხვა წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმების დაფინანსებისათვის;

მ) ნაღდი ანგარიშსწორების ფასი – დაკავშირებული სასესხო ხელშეკრულების გაფორმების დროს საქონლის/მომსახურების ფასი ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელსაც დაკავშირებული სესხს ხელშეკრულების მონაწილე მსესხებელი გადაუხდოდა საქონლის/მომსახურების მიწოდებელს საკუთარი სახსრებით ანგარიშსწორების შემთხვევაში გამსესხებლისგან სესხის აღების გარეშე;

ნ) ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება – სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მსესხებლისათვის ხელმისაწვდომი თანხა აღემატება მის ბალანსზე, მიმდინარე ანგარიშზე, მათ შორის, საბარათე ანგარიშზე, არსებულ სახსრებს.

### მუხლი 3. ფინანსური ხარჯი

1. ფინანსური ხარჯი არის ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნების და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს, კერძოდ:

ა) საპროცენტო ხარჯი/შენატანები;

ბ) მომსახურებაზე გამსესხებლის მიერ დაწესებული გადასახდელები;

გ) გამსესხებლის მიერ დაწესებული ტრანზაქციისა და საკომისიო ხარჯი;



დ) აუცილებელი დაზღვევის ხარჯი;

ე) ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი;

ვ) სანოტარო ხარჯი;

ზ) ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური;

თ) გადასახდელი, რომელსაც მსესხებელი უხდის მესამე პირს სესხით სარგებლობის დასრულების დროს, თუ ეს წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხით სარგებლობის დასრულების და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას;

ი) სხვა პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებული აუცილებელი გადასახდელები/შენატანები, თუ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა წარმოადგენს სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და/ან სასესხო ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ, მაგრამ ფაქტობრივ ვალდებულებას;

კ) გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამა თუ იმ პირობის შეუსრულებლობისთვის დაწესებული/მოთხოვნილი ხარჯი, როცა სესხის ხელშეკრულებაში ჩადებული ამ პირობის შესრულება არ მოითხოვება ცალსახად სესხის გაცემის შემდეგ, არამედ შესაძლებელია ამ პირობის შესრულების მოთხოვნა/შემოწმება განხორციელდეს სესხის გაცემამდე;

ლ) გამსესხებლის მხრიდან სესხის რაიმე პირობით მიღებისთვის დაწესებული/მოთხოვნილი ხარჯები, როცა სესხის შინაარსი/ბუნება აღნიშნული პირობით მომსახურებას ისედაც ითვალისწინებს;

მ) სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ ფინანსურმა ორგანიზაციამ შეიტყო სასესხო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის;

ნ) გადასახადები, რომლის დაკავებას და მსესხებლის სასარგებლოდ ბიუჯეტში გადარიცხვას ახდენს გამსესხებელი.

**2.** იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ხარჯს მსესხებელი უხდის მესამე პირს და გამსესხებელს არ შეუძლია ზუსტი ფინანსური ხარჯის ოდენობის დადგენა, გამსესხებელმა ის უნდა განსაზღვროს აღნიშნული ხარჯის მოსალოდნელი საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

**3.** იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის მიერ ფინანსური ხარჯის გადახდის საჭიროება დგება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო ეტაპებზე და რომლის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა გამსესხებელს წინასწარ არ შეუძლია, ფინანსური ხარჯი შეფასებული უნდა იქნეს მიმდინარე საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

**4.** ფინანსურ ხარჯს არ მიეკუთვნება ის ხარჯი, რომლის გადახდაც მსესხებლისათვის სავალდებულო იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი სესხის გარეშე თავად განახორციელებდა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შეძენას ან/და რომელთა მსესხებლის მიერ გადახდაც მოსალოდნელია სესხის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც.



5. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავშირებული სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი აღემატება ამავე საქონლის/მომსახურების პირდაპირი ანგარიშსწორების ფასს, აღნიშნული დადებითი სხვაობა ფასებს შორის უნდა მიეკუთვნოს ფინანსურ ხარჯს.

#### მუხლი 4. სესხის ეფექტური საპროცენტო განაგარიშების პრინციპი

1. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განაგარიშებისათვის საჭიროა მსესხებლის მიერ თანხის გადახდების დღევანდელი ღირებულება გაუთანაბრდეს მსესხებლის მიერ გამსესხებლისგან მიღებული და მისაღები თანხების დღევანდელ ღირებულებას. იგი გამოსახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება მსესხებლის მიერ სესხზე გაწეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}$$

2. გამოყენებულ აღნიშვნათა განმარტება:

- ა)  $k$  – თანხის გამოტანის (გამსესხებლისგან მიღების) რიგითი ნომერი;
- ბ)  $k'$  – თანხის შეტანის (გამსესხებლისთვის გადახდის) რიგითი ნომერი;
- გ)  $A_k$  –  $k$  რიგითობით გამოტანილი სესხის თანხა;
- დ)  $A'_{k'}$  –  $k'$  რიგითობით გადახდილი თანხა- ფინანსური ხარჯი;
- ე)  $\Sigma$  – ჯამის ნიშანი;
- ვ)  $m$  – თანხის გამოტანის საერთო რაოდენობა;
- ზ)  $m'$  – თანხის გადახდების საერთო რაოდენობა;
- თ)  $t_k$  – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და შემდგომ გამოტანებს შორის – მეორედან –  $m$ -მდე;
- ი)  $t_{k'}$  – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და გადახდებს შორის – პირველიდან –  $m'$ -მდე;
- კ)  $i$  – სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

3. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი დაშვებები:

- ა) თუ მსესხებელს შეუძლია გარკვეული ლიმიტის ფარგლებში ნებისმიერი ოდენობის თანხა გამოიტანოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაიშვება, რომ მსესხებელს მთლიანი თანხა გამოაქვს ერთდროულად, პირველივე გამოტანის შესაძლებლობისთანავე;
- ბ) თუ არსებობს თანხის გამოტანის სხვადასხვა მეთოდები (მაგ., უშუალოდ გამსესხებლის სალაროდან, ბანკომატიდან და სხვ.), რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ფინანსურ ხარჯებთან, დაიშვება, რომ მსესხებელს თანხა გამოაქვს პრაქტიკაში არსებული ნაღდი ანგარიშსწორების ყველაზე იაფი მეთოდით;



გ) თუ თანხის გადახდის ფიქსირებული პერიოდი არ არის მითითებული, სესხის ხანგრძლივობად დაიშვება ერთი წელი და შენატანების სქემად ყოველთვიური შეტანის სქემა;

დ) თუ გადახდის თარიღები ფიქსირებულია და თითოეული გადახდის ოდენობა შესაძლოა იყოს განსხვავებული გარკვეული მინიმალური ლიმიტით, დაიშვება, რომ მსესხებელი ახორციელებს მინიმალური შესაძლო თანხის შეტანას თითოეული თარიღისათვის;

ე) თუ სესხის ზედა ზღვარი არ არის მითითებული, დაიშვება რომ აღნიშნული ზღვარია **3,000** ლარი;

ვ) ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის შემთხვევაში, დაიშვება, რომ მსესხებელს გამოაქვს მაქსიმალური დასაშვები თანხა პირველივე შესაძლებლობისთანავე და ფარავს მას სესხით სარგებლობის პერიოდის დასასრულს. თუ არ არის მითითებული სასესხო ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ასეთად დაიშვება ერთი წელი;

ზ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება სესხის საწყის საპროცენტო განაკვეთს;

თ) თუ სასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს განსხვავებულ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა პერიოდებისა და/ან გაცემული სესხის სხვადასხვა ოდენობებისათვის, სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული **2** მეთოდით;

თ. ა) საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის გამოყენებით;

თ. ბ) სხვა საპროცენტო განაკვეთის (განაკვეთების) გამოყენებით შესაბამისი პირობების მითითებით;

ი) თუ სასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადის გაგრძელების (დაფარვის გადავადების) შესაძლებლობას განსხვავებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული **2** მეთოდით:

ი.ა) საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის გამოყენებით;

ი.ბ) სხვა საპროცენტო განაკვეთის (განაკვეთების) გამოყენებით შესაბამისი პირობების მითითებით.

**4.** სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ მხარეები დროულად ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მის გამოთვლაში არ გაითვალისწინება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავის ხარჯები.

**5.** საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის ხელშეკრულებაში უნდა მოხდეს სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება შემდეგი ორი მეთოდით:

ა) დაიშვება, რომ მსესხებელი ახორციელებს სესხის ლიმიტის განაღდებას;

ბ) დაიშვება, რომ მსესხებელი ახორციელებს სესხის ლიმიტის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვას.

**6.** საწყის თარიღს წარმოადგენს პირველი გამოტანის თარიღი.



7. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

#### **მუხლი 5. გარდამავალი დებულებები**

სესხებზე, რომლებიც გაცემულ იქნა 2018 წლის პირველ სექტემბრამდე, თუმცა მათი გადავადება, რესტრუქტურირაცია ან რეფინანსირება ხორციელდება 2018 წლის 31 აგვისტოს შემდეგ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის ფინანსურ ხარჯებად გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც მსესხებლის მხრიდან გაწეულ იქნა გადავადების, რესტრუქტურირაციის ან რეფინანსირების თარიღიდან და შემდგომ პერიოდში, საწყის თარიღად მიჩნეულ იქნეს გადავადების, რესტრუქტურირაციის ან რეფინანსირების თარიღი, ხოლო საწყისი თარიღისათვის მიღებულ თანხად გათვალისწინებულ იქნეს გადავადებული, რესტრუქტურირებული ან რეფინანსირებული სასესხო დავალიანება.

### **საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის**

#### **ბრძანება №196/04**

2018 წლის 29 აგვისტო, ქ. თბილისი

**„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04**

#### **ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **გბრძანებ:**

#### **მუხლი 1**

„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 11/08/2017; ს/კ: 200020000.18.011.016253) დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. „სესხი“ – სესხის ხელშეკრულებით კომერციული ბანკის მიერ მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონება (სათანადო უზრუნველყოფით ან მის გარეშე), რომელზეც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს ეს ქონება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ეს ტერმინი მოიცავს აგრეთვე სამეურნეო და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემულ ავანსს, დებიტორულ დავალიანებას, ფაქტორინგს, სავალო ფასიან ქალაქებს და სხვა ნებისმიერი ტიპის მოთხოვნას (მათ შორის სესხის და კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხულ სარგებელს და/ან საკომისიოს), ასევე სესხის და კრედიტის პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცემას, ან კომერციული ბანკის იურიდიულ ვალდებულებას გასცეს კრედიტი ნებისმიერი ფორმით, როგორცაა ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია ან/და კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით სხვა სახელშეკრულებო ვალდებულება კონკრეტული პირობებით, ან ბანკის ნებისმიერ სხვა პირობით.“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე








si tuaci uri saxel mZRvanel oebi / manual ebi

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ოპერაციაზე საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრაზე N1116





➤ *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზე.*

## ანოტაცია

**„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ოპერაციაზე საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრაზე N11116**

### სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ოპერაციაზე დღგ-ის ნაწილში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხს.

ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობასაც და რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად, ამასთან 2016 წელს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ოდენობა შეადგენს ორგანიზაციის მიერ მიღებული მთლიანი შემოსავლის 6%-ს.

2017 წლის ივლისში პირმა ექსპლუატაციაში შეიყვანა 150000 ლარის ღირებულების საკუთარი წარმოების საოფისე შენობა, საიდანაც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხად განსაზღვრა მთლიან შემოსავლებში ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ხვედრითი წილის პროპორციულად განსაზღვრული თანხა - 9000 ლარი (150 000 \*6%). დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ 1620 ლარი (9000\*18%) იმავე თვეში ჩაითვალა სრულად.

სსკ-ის 161 (1.დ)-ე მუხლის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება. მიუხედავად, იმისა საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში თუ არა. რომლის დროსაც: - დ.ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება აქტივების ღირებულებით, რომელშიც შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის აქტივების ღირებულებას; -დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი;

ამავე კოდექსის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში ამ ოპერაციაზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.



სსკ-ის 174(7)-ე მუხლის მიხედვით ძირითად საშუალებაზე, რომელიც გამოყენებულ იქნა ან/და იქნება ერთდროულად ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

გ.ა) თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;

გ.ბ) დღგ-ის გადამხდელს, გარდა ამ ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში ჩათვლის უფლების მქონე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად.

ამავე მუხლის მე-8 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-7 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის ყოველწლიურად ჩასათვლელი (გ.ბ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება შენობა-ნაგებობაზე -ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის ივლისის თვეში ორგანიზაციის მიერ შემცირებულია საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა 141 000 ლარით (150 000-9 000) და გაზრდილია ჩასათვლელი თანხა (1620 ლარით), სსკ-ის 174-ე მუხლის მე-7 და მე-9 ნაწილების გათვალისწინებით, პირს უფლება აქვს ჩაითვალოს დღგ 2017 წლის დეკემბერის თვეში 162 ლარის ოდენობით (27000/10\*6%). შესაბამისად პირს დაერიცხება კუთვნილი დღგ და დეკლარაციაში გადასახადის შემცირებისათვის დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით.


სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც





„ამხანაგობიდან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი

ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრაზე“ N1117



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება 2015 წლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.



## ანოტაცია

**„ამხანაგობიდან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრაზე“ N11117**

### **სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს „ამხანაგობისათვის გაწეული მომსახურებისა და სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი ფართის (ბინების) მიწოდების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საწარმომ, 2006 წელს შექმნილი ამხანაგობის დაკვეთით, მოახდინა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის დასრულება.

რომელიც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ შეყვანილია დღგ-ით ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ იმ ობიექტთა ნუსხაში, რომელზეც ვრცელდება სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე და მე-80 ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათები. მშენებლობის ნებართვა 2008 წლის თებერვალში გაცემული იყო ამხანაგობის სახელზე.

საწარმოს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაეცა მშენებარე ფართის გარკვეული ოდენობა.

აღნიშნული კომპლექსი, როგორც ამხანაგობის საკუთრება, ქ. თბილისის მერიის მიერ შეტანილია იმ ობიექტების ნუსხაში, რომლებიც გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით. საწარმომ მიიჩნია, რომ აკმაყოფილებდა სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ყველა პირობას და დღგ-ით არ დაბეგრა არც ამხანაგობისათვის გაწეული სამშენებლო მომსახურება და არც ამხანაგობიდან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული უძრავი ქონების (კომპლექსში არსებული ბინების) მიწოდება.


სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე - 81-ე ნაწილების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო უძრავი ქონების მიწოდების მომენტისათვის არ იყო შესაბამის ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელი, საწარმოს უფლება აქვს, ისარგებლოს დადგენილი შეღავათით, მხოლოდ ამხანაგობისთვის გაწეული მომსახურების ნაწილში. ხოლო ამხანაგობიდან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული აქტივის (ბინების) გადაყიდვა დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას.

შესაბამისად, განისაზღვრება საწარმო-ს კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებები და დაერიცხება როგორც დამატებული ღირებულების გადასახადი, ასევე, დეკლარაციებში გადასახადის შემცირების შემთხვევაში, სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.

სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება 2015 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.



**დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება N1118**



- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ განსაზღვრავს გამყიდველის სავადასახადო ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას დღგ - ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის.*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი სავადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.*



## ანოტაცია

### დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმებაზე

#### N11118 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დაბრუნებულ საქონელზე ჩათვლილი დღგ-ის გაუქმება, კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის გარეშე.

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია განისაზღვროს კანონმდებლობის დაცვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილი დღგ-ის გაუქმების და ჯარიმის დარიცხვის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დღგ-ის გადამხდელი საწარმო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით შეძენილი საქონლის ნაწილს უბრუნებს გამყიდველს და დაბრუნება ხორციელდება გამყიდველის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით, კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის გარეშე.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა საწარმომ იანვრის თვეში შეიძინა საქონლის 1000 ერთეული და ამ მიწოდებაზე გამყიდველის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე იანვრის თვის დეკლარაციით განახორციელა დღგ-ის ჩათვლა. შეძენილი საქონლის 1000 ერთეულიდან 900 ერთეული მარტის თვეში უკან დაუბრუნდა გამყიდველს, რაზედაც გამყიდველმა გამოწერა სასაქონლო ზედნადები, მაგრამ არ გამოწერა კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. საწარმომ გამყიდველისთვის უკან მიბრუნებული საქონლის 900 ერთეულის მიხედვით იანვარში ჩათვლილი დღგ-ის თანხა არ გააუქმა და არ ასახა მარტის თვის დღგ-ის დეკლარაციაში.

სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 ნაწილის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის თანხა კორექტირდება, როდესაც საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების დროს, თუ კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის შედეგად დასაბეგრი ოპერაციის თანხა იცვლება, შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს კორექტირების გამომწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის ნაწილის დაბრუნების ფაქტი სახეზეა - გამოწერილია სასაქონლო ზედნადები, მიუხედავად იმისა, რომ კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ იქნა გამოწერილი, ჩათვლის მიმდების მიერ დაბრუნებული საქონლის ოდენობაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება გაუქმებას საქონლის დაბრუნების საანგარიშო პერიოდში. საწარმოს დაერიცხება კუთვნილი დღგ და დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 10 აგვისტოსთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც



### დასაქმება და უმუშევრობა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	1982.7	1911.9	1908.7	1944.7	1971.8	1970.9	1988.2	2004.5	1978.6	1984.6	2018.0	1996.2	1983.1
დასაქმებული, ათასი კაცი	1683.0	1618.0	1577.3	1597.3	1611.0	1627.8	1643.5	1659.4	1643.4	1694.4	1733.8	1717.3	1706.6
უმუშევარი, ათასი კაცი	299.7	293.9	331.4	347.4	360.8	343.1	344.8	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	15.1	15.4	17.4	17.9	18.3	17.4	17.3	17.2	16.9	14.6	14.1	14.0	13.9

saqstati





# გაგრიწეკათ გადასასადუბი

მენაგეუბის, სამანსახლო  
ინსუექტორუბის, აუდიტორუბის,  
ბულდსტრუბისა და ყველა მანაგეუბის  
უნუგერსადური სამაგიდლო ჟურნალი

ჩვენი რაკვიზიტუბია:

მიმღუბი: შპს „ბიზნეს ინტელექტი“  
მიმღუბის IBAN ანგარიშის  
№ GE67TB332136020100005

მიმღუბის ბანკი: ს.ს „თიბისი“ ბანკი  
ბანკის კოდი: TBCBGE22

# ღიზარინი ჰოციბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები